


**ეთნიკური და
რელიგიური
უმცირესობების**

**თავაზიკის გაუმჯობესება
გეგმვაში**

საგარეო პრინციპები





სახელმძღვანელო გამოცემულია „მედიის განვითარების ფონდის“ მიერ პროექტის „დისკრიმინაციული, ეთნიკური და რელიგიური ტერმინოლოგიის გამოყენების პრევენცია მედიაში“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება პროგრამის „ეროვნული ინტეგრაცია და ტოლერანტობა საქართველოში“ (NITG) ფარგლებში საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის (EPF) ადმინისტრირებითა და შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების (USAID) სააგენტოს დაფინანსებით.

**ეთნიკური და
რელიგიური
უმცირესობების**

**თემატიკის გაუმჯობესება
მედიასში**

საგარეო პრინციპები

ტიკის გაშუქების დროს დაშვებული შეცდომების კონკრეტულ მაგალითებზე განხილვას და ამ გზით მათ უკეთ აღქმა-გაანალიზებას ისახავს მიზნად; აქვე გთავაზობთ ეთნიკური უმცირესობების ფოკუს-ჯგუფების შედეგებს, რომელიც წარმოდგენას შექმნის იმაზე, თუ როგორ აფასებენ საქართველოს მოქალაქეები – ჩვენი ეთნიკური უმცირესობები, ქართული მედიის მიერ ამ თემატიკის გაშუქებას. სახელმძღვანელოში გადავწყვიტეთ თვითრეგულაციის საერთაშორისო გამოცდილებისა და საქართველოში მოქმედი ეთიკური რეგულაციის მაგალითებიც მოგვეწოდებინა, ინფორმაციის სისრულისთვის. აქვეა ტერმინთა განმარტება, რომელიც ასევე საერთაშორისო სტანდარტულ განმარტებებზეა დაფუძნებული. ამასთან, შევეცადეთ ვყოფილიყავით ლაკონურები და დაგვეზოგა პრაქტიკოსი ჟურნალისტების დრო. ბუკლეტში მხოლოდ ის ძირითადი საბაზისო პრინციპები შევიტანეთ, რომელიც მათ სწორედ პრაქტიკაში – ეთნიკურ და რელიგიურ თემატიკასთან შეხების დროს გაჩენილ კითხვებზე სწრაფი და ცივილიზებულ მსოფლიოში მიღებული მედია-სტანდარტისთვის შესაბამისი პასუხების მოძიებაში დაეხმარება.

მედიის განვითარების ფონდი

ცირესობების წარმომადგენლების აზრები და შეხედულებები;
ხელი შეუწყონ მათ ინტეგრირებას საზოგადოებაში;

 არ მოახდინონ რაიმე პრობლემის ხელოვნური ასოცირება რომელიმე ეთნიკურ ან რელიგიურ უმცირესობასთან და ამით ხელი არ შეუწყონ სტერეოტიპების ჩამოყალიბებას ან არსებული სტერეოტიპების გამყარებას;

 არ განაზოგადონ უმცირესობის ცალკეული წარმომადგენლის საქმიანობა, ქცევა თუ ქმედება მთელ ეთნიკურ ან რელიგიურ ჯგუფზე;

 თავი შეიკავონ პირის (პირების) ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის დაუსაბუთებელი პარალელების გავლებისაგან;

 არ აღნიშნონ (ყურადღება არ გაამახვილონ) უმიზეზოდ, აუცილებლობის გარეშე, პირის (პირების) ეთნიკური ან რელიგიური კუთვნილება. პირის ეთნიკური ან რელიგიური კუთვნილება აღნიშნონ მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს გასაშუქებელი ამბისთვის.

 კრიმინალის გაშუქებისას თავი შეიკავონ ეჭვმიტანილის (ბრალდებულის, დამნაშავის) ეთნიკური ან/და რელიგიური კუთვნილების მითითებისაგან. ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით ეჭვმიტანილი ან ბრალდებული მოიხსენიონ მხოლოდ მაშინ, თუ ეს არსებითია გასაშუქებელი ამბისთვის (მაგალითად, თუ კრიმინალი ეთნიკურ/რელიგიურ ნიადაგზე მოხდა);

 არ აღწერონ ისეთი ფიზიკური მონაცემები, რომლებმაც დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება სრულიად არასწორად ეთნიკურ წარმომავლობას დაუკავშიროს;

უდიერად, დაცინვით მოიხსენიებს განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის ან რწმენის ადამიანებს;

 არ დაუშვან რელიგიურ თემაზე მასალების მეშვეობით ადამიანების გრძნობებით მანიპულირება, რომელიმე რელიგიური შეხედულებისა თუ მრწამსის გაქილიკება;

 თავი შეიკავონ ისეთი მასალის გამოქვეყნებისაგან, რომელმაც შეიძლება შეურაცხყოს ესა თუ ის რელიგიური ჯგუფი;

 სწორად გამოთქვან და დანერონ ეთნიკური უმცირესობების სახელები და გვარები.

 არ გამოიყენონ ისეთი ლექსიკა (ტერმინები, სიტყვები, გამოთქმები) და გამოსახულება (კადრები თუ ფოტოები), რომლებიც შეიძლება დისკრიმინაციული, შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი აღმოჩნდეს რომელიმე ეთნიკური ან/და რელიგიური უმცირესობისათვის. რეაგირება მოახდინონ ისეთ სიტყვებზე, რომლებიც ამცირებს და შეურაცხყოფს პიროვნებას ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით. რესპოდენტებს, რომლებიც აღნიშნულ სიტყვებს გამოიყენებენ, მკაფიოდ განუმარტონ სარედაქციო პოზიცია მსგავსი მოსაზრებებისა და გამოხატვის ფორმების მიმართ;

 ადამიანის ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილება არ აღნიშნონ ისეთი სიტყვით თუ ტერმინით, რომელსაც უარყოფითი ელფერი დაჰკრავს ქართულ რეალობაში. (მაგალითად, ნუ უწოდებენ ებრაელს „ურიას“, აზერბაიჯანელს „თათარს“, სომხური ეკლესიის მღვდელს „ტერტერას“, და ა.შ.).

ცხადია, ზემოაღნიშნული პრინციპები არ უკრძალავს მედიასა-შუალელებს ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილების მოხსენი-



თავი II

ეთნიკური და
რელიგიური უმცირესობების
თემათიკის გაშუქება
ქართულ მედიაში
(პრაქტიკული მანუალური)

მედიის განვითარების ფონდმა 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 აპრილის ჩათვლით განახორციელა ქართულენოვან მედია-საშუალებებში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საკითხების გაშუქების მედია-მონიტორინგი.

მონიტორინგი განხორციელდა საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის (EPF) პროგრამის – „ეროვნული ინტეგრაცია და ტოლერანტობა საქართველოში“ ფარგლებში, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების (USAID) სააგენტოს დაფინანსებით.

მედია-მონიტორინგის ინტერესის სფეროში იყო პირველი არხის, რუსთავი 2-ის, იმედის, მაესტროსა და კავკასიის საინფორმაციო გამოშვებები. ასევე გაზეთები: „24 საათი“, „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „ალია“, „ასავალ დასავალი“, „კვირის პალიტრა“, „ჯორჯიან თაიმსი“. ასევე რეგიონული პრესა: „პს“, „ახალი გაზეთი“ (ქუთაისი), „სამხრეთის კარიბჭე“ (ახალციხე), „კახეთის ხმა“ (კახეთი), „თავისუფალი სიტყვა“ (ქართლი), „ბათუმელები“ (აჭარა), „ლია ბოქლომი“ (სამეგრელო), „გურია ნიუსი“ (გურია).

მონიტორინგი განხორციელდა როგორც რადიო-ტელევიზიური, ისე თვისობრივი კუთხით. მონიტორინგის შედეგები ყოველკვირეულად ეგზავნებოდა მედიის და საზოგადოების წარმომადგენლებს (სულ 425 ელექტრონულ მისამართზე), რათა კონკრეტული

 **დისკრიმინაციული, შეურაცხმყოფელი და ქსენოფობიური ტერმინოლოგიის გამოყენება**

1. გაზეთ „ღია ბოქლომის“ სტატიის (№10, 14, 21-28 იანვარი, 2010 წ.) „**რატომ გვაბოლებენ ჩინელები?!**“ სათაური ქსენოფობიური და შეურაცხმყოფელია. წინადადება სტატიაში – „*ძვირფასო მკითხველო ნურავის მოატყუებინებთ თავს და სანამ პროდუქციის რეალურ ფასს არ შეიტყობთ „**წვრილთვალებებთან**“ ნურაფერს იყიდით*“, დამცინავი, შეურაცხმყოფელი და რასობრივი ნიშნით დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენების მაგალითია.
2. 1-7 თებერვლის გაზეთ „ასავალ-დასავალის“ №5 (801) სტატიის სათაური „**მარადი ურიიდან მარად მიშამდე**“ შეურაცხმყოფელია საქართველოში მცხოვრები ებრაელი ხალხის მიმართ. სიტყვა „**ურია**“ (მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიური ტერმინია) საქართველოში ის ეთნიკური თემის წევრისათვის სრულიად უსაფუძვლოდ, დამაკნინებელ ნიუანსს შეიცავს და ზეპირსიტყვიერებაში გარკვეულ ნეგატიურ მდგომარეობას უკავშირდება (მაგ. „ურის ვალი“), აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვა უფრო გარცელებული გასულ საუკუნეში იყო და დღევანდელობაში შედარებით იშვიათად გვხვდება.

 **დისკრიმინაციული მიდგომა კრიმინალური ამბების გაშუქებისას და ცალკეული ჯგუფების სტერეოტიპიზაცია;**

1. 8 თებერვალს „რუსთავი 2“-ის 15:00 საათიანმა „კურიერმა“ გააშუქა კონტრაბანდული საქონლის შემოტანაზე სომხეთის მოქალაქის დაკავების ფაქტი:

„ფინსანსთა სამინისტროს საგამომძიებლო დეპარტმენტის თანამშრომლებმა კონტრაბანდული ოქროს პარტია და გადამ-

და არსს. მაგრამ, სიუჟეტში ამ ექვმიტანილის მოხსენიება ეთნიკური ნიშნით უკვე ეთნიკური უმცირესობის დისკრიმინაციული გაშუქების და სტერეოტიპიზაციის მაგალითია. ექვმიტანილი ორჯერ იქნა მოხსენიებული როგორც „**სომეხი ეროვნების ქალბატონი**“ მაშინ, როდესაც მისი ეთნიკური წარმომავლობა საზოგადოებრივი ინტერესის საგანს არ წარმოადგენდა. ჟურნალისტს ამ ფრაზის ნაცვლად შეეძლო გამოეყენებინა სიტყვა „**ექვმიტანილი**“, რითაც თავიდან აიცილებდა სტერეოტიპიზაციას ეთნიკური ნიშნით.

2. 2010 წლის 14 იანვარს გაზეთ „ახალი თაობის“ (№10) სტატი-აში „სასულიერო პირების მიერ აღკვეთილი დანაშაული“ აღ-ნერილია ინციდენტი:

*„დანაშაული ბოლნისის რაიონის სოფელ წულრულაშენის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა, სადაც ეკლესიის მოძღვარი და მორჩილები თივას აგროვებდნენ და ახარისხებდნენ. ამ დროს ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ძმები ჟ. ხ. და რ. ხ. ავტომანქანით მიუახლოვდნენ მათ და მოსთხოვეს სასწრაფოდ დაეტოვებინათ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია, იმ მოტივით, რომ ეკლესია და მისი მიმდებარე ტერიტორია იყო სომეხი ერის საკუთრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი სა-ეკლესიო პირები არ შეასრულებდნენ მათ მოთხოვნას, ძმები მათ იქ ყოფნის საშუალებას არ მისცემდნენ. მეტიც, სასული-ერო პირების მხრიდან სიმშვიდისკენ მოწოდებამ **დამნაშა-ვეები** კიდევ უფრო გააღიზიანა და უკვე მუქარის რეალურად შესრულება სცადეს. ერთ-ერთმა მათგანმა – რ.ხ.-მ მანქანის საბარგულიდან რკინის ქანჩი ამოიღო და უცენზურო სიტყ-ვებით ისევ დაუწყო ლანძღვა.*

...20 წუთის შემდეგ ისინი კვლავ დაბრუნდნენ წულრულაშენის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიასთან. სოფელ ბოლნისიდან წამოღებული 16 კალიბრიანი სანადირო თოფიდან დაიწყო

მტკიცებით, ბინა გაყიდა, არავითარი კავშირი არა აქვს სტატის თემასთან და მისი წარმომავლობა არც რაიმე საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს. მეორე, ეთნიკური წარმომავლობა აქ ავტორს ნახსენები აქვს ძალზე დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ კონტექსტში. სტატის ავტორი საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებული იმ სტერეოტიპით მანიპულირებს, რომლის თანახმადაც, ებრაელები ითვლებოდნენ მეორეხარისხოვან ადამიანებად, რომლებსაც ვაჭრობის მეტი არაფერი შეეძლოთ (ეს პროფესიაც იმ დროს არსებული სტერეოტიპის მიხედვით დამამცირებელ საქმიანობად მიიჩნეოდა). ეს სტერეოტიპი ავტორმა სტატიაში გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულების დრამატიზების, ემოციის გაძლიერების მიზნით გამოიყენა. საკითხის ასეთი გაშუქება შეურაცხმყოფელია ებრაელი ხალხისათვის.

2. 2010 წლის 25 იანვრის 12:00 საათიან გამოშვებაში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა ავტოავარიის შემთხვევა ასე გააშუქა:

„შვიდი ადამიანი გარდაიცვალა ავტოავარიის შედეგად თბილისი-რუსთავის გზაზე, ორი მძიმედ დაშავებული კი საავადმყოფოშია გადაყვანილი. ერთმანეთს ბეემვესა და მერსედესის მარკის ავტომობილები შეეჯახნენ. უბედური შემთხვევის მიზეზები ჯერ-ჯერობით უცნობია. წინასწარი ინფორმაციით, მერსედესის მარკის ავტომობილში ბოლნისში მცხოვრები აზერბაიჯანელები ისხდნენ. მგ ზავრებიც და მძღოლიც, სავარაუდოდ, ნასვამები იყვნენ. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება გრძელდება.“

გიორგი სამხარაძე (საპატრულო პოლიციის თანამშრომელი): ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის მე-5 კილომეტრზე მოძრაობდა ავტომანქანა ბეემვე და ავტომობილი მერსედესი, რომელთა შორისაც მოხდა შეჯახება. სავარაუდოდ, 7 კაცი არის მსხვერპლი, 2 კაცი გადარჩა, რომლებიც სას-

„ლარსის გახსნამდე ორიოდ დღით ადრე რუსეთში მცხოვრებმა სომხებმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. ისინი ჯავახეთის რეგიონისთვის ავტონომიის სტატუსის მინიჭებას ითხოვდნენ. საქართველოს ხელისუფლებამ ეს აქციაც უყურადღებოდ დატოვა. გუშინ კი მოსკოვში მცხოვრებმა სომხებმა უკვე ახალი მოთხოვნა წამოაყენეს. ეს მოთხოვნები მათ მოსკოვში, შვეიცარიის საელჩოს წინ გამართულ აქციაზე გაახმაურეს.

სომხური მედიის ცნობით, აქცია რუსეთში მყოფი **ჯავახეთელი სომხების** მიერ იყო ორგანიზებული. აქციაში რამდენიმე ათეული ადამიანი მონაწილეობდა. მათი მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლება სომხების დისკრიმინაციას ეწევა. აქციის მონაწილეებმა სომხური ენისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებაც მოითხოვეს.

ამ მოთხოვნით რამდენიმე თვის წინ სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარგისიანიც გამოვიდა. არადა, მისი წინამორბედი რობერტ ჯორჯიანი საქართველოში მცხოვრებ სომხებს ქართული ენის შესწავლისკენ მოუწოდებდა.

სომხური მედიის ინფორმაციით, აქციის მონაწილეებმა საგანგებო კომისიის შექმნაც მოითხოვეს, რომლის შემადგენლობაში სომხეთის, საქართველოს, რუსეთისა და შვეიცარიის წარმომადგენლები უნდა შევიდნენ. ამ კომისიამ საქართველოში მცხოვრები სომხების შევიწროების ფაქტები უნდა შეისწავლოს.“

ინფორმაციაში გამოყენებული ფორმულირება „რუსეთში მცხოვრები სომხები“ არაკვალიფიციური და სტერეოტიპიზაციისკენ გადახრილია. არ არის მითითება იმისა, იყო ეს ფორმალურად რეგისტრირებული ჯგუფის წამოწყებული აქცია, თუ ცალკეული პირების ინიციატივა. არ არის გადმოცემული

თანასწორად შეუძლია ისარგებლოს საკუთრების უფლებით. სათაური მიანიშნებს იმაზე, რომ ენის სწავლა სომეხი მოქალაქეებისთვის იძულებითი ზომია, მაშინ როცა მასალიდან არ ჩანს თავად სომეხი ეროვნების საქართველოს მოქალაქეების პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით და არც ის, თუ რამდენად უზრუნველყოფს ხელისუფლება სახელმწიფო ენის სწავლებას უმცირესობებისათვის. ამ სტატიაშიც ეთნიკური უმცირესობა ყურნალისტური მასალის ობიექტია და არა სუბიექტი.

დისკრიმინაცია ეთნიკური ნიშნით. დისკრიმინაციული განცხადებების ტირაჟირება

1. 2010 წლის 5 იანვარს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის 21:00 საათიან „კურიერში“ გავიდა სიუჟეტი, რომელშიც მოთხრობილი იყო ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობის შესახებ:

„მკვლელობა ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე. მძახალმა მძახალი იმსხვერპლა. ჰამლეტ გაჯიევმა კახა მახარობლიშვილი ეჭვიანობის ნიადაგზე საკუთარ სახლში დანით მოკლა. გაჯიევის მტკიცებით გარდაცვლილს მის ცოლთან სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა. მკვლელობა ახალი წლის წინა დღეს, 30 დეკემბერს მოხდა.

როცა კახა მახარობლიშვილი საავადმყოფოში მიიყვანეს, ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს. ჭრილობები, რომლებიც კახა მახარობლიშვილს გულ-მკერდის არეში მიაყენეს, სიცოცხლესთან შეუთავსებელი აღმოჩნდა. მკვლელობა ვარკეთილში, გარდაცვლილის მძახლის ჰამლეტ გაჯიევის სახლში, დილის 10 საათზე მოხდა.

ისტორიას, რომელსაც ეჭვმიტანილი აღიარებით ჩვენებაში ყვება, მეზობლების მსგავსად მოკლულის ოჯახის წევრებიც კატეგორიულად უარყოფენ. ისტორიის ცოცხალი გმირი, მანანა გაფიევა კი უკანასკნელი 5 დღეა არავის უნახავს.

გარდაცვლილის ძმის, მანუჩარ მახარობლიშვილის, კომენტარი: „ელემენტარულად ალბათ თავის გასასამართლებლად. რალაც ხო უნდა თქვას რატომ მოვკალი კაციო. საიდან მოიტანა რა ვიცი, პათოლოგიური სიმთვრალე აქვს და დეგენერატი იყო კიდე, პირდაპირ გეუბნებით“.

გამოძიება ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109 მუხლით არის დაწყებული. საქართველოს კანონმდებლობით დანაშაული 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.“

ერთი შეხედვით ზემოაღნიშნულ სიუჟეტში ამბავი ნეიტრალურად იყო გადმოცემული. თავად ჟურნალისტს მკვლელის ეთნიკური წარმომავლობა არ დაუკონკრეტებია; სიუჟეტში არც საავტორო, ან სარედაქციო შეფასებებში რაიმე შეურაცხმყოფელი განცხადებები არ ყოფილა. თუმცა ჟურნალისტმა გამოიყენა მეზობლის კომენტარი, რომელიც დისკრიმინაციული ხასიათისაა და ეთნიკური ნიშნით განასხვავებს სიუჟეტის ობიექტს, აზერბაიჯანელების ზოგადად უარყოფით კონტექსტში მოხსენიების გზით: **„ისე უყვარდათ ერთმანეთი, ძალიან ტკბილი და კარგი ხალხი. სხვათა შორის, მით უმეტეს, აზერბაიჯანელები არიან და ესე კარგად ვიყავით ერთმანეთთან. კარგი ხალხი არიან ძალიან!“**

მეზობლის ეს კომენტარი დისკრიმინაციულია. მეზობლის კომენტარის ეს ფრაგმენტი არავითარ საზოგადოებრივ ინტერესს არ აკმაყოფილებს და მსგავს განცხადებას ეთნიკურად

აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქეები შეურაცხმყოფელად აღიქვამენ.

2. ტელეკომპანია „კავკასიის“ 14 იანვრის საღამოს საინფორმაციო გამოშვებებში გავიდა სიუჟეტი, რომელიც ერთ-ერთი ლტოლვილის საცხოვრებელი ადგილის დარბევას ეხებოდა. სიუჟეტში ლტოლვილი მამაკაცი ამბობს: **„ასეთ რაღაცას თვით აფხაზი არ გააკეთებდა, ამას ქართველი კი არა“**. ლტოლვილი მამაკაცის ეს ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციული და შეურაცხმყოფელი განცხადება არავითარ საზოგადოებრივ ინტერესს არ წარმოადგენდა და მისი ტირაჟირება არავითარი საინფორმაციო აუცილებლობით არ იყო განპირობებული. მედია საშუალებას შეეძლო არ გაეშვა იგი, ანდა გაშვების შემთხვევაში, უნდა აღენიშნა, რომ მსგავს განცხადებას ეთნიკური აფხაზები შეურაცხმყოფელად აღიქვამენ.

 **დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით**

1. 2010 წლის 21-28 იანვრის გაზეთ „ჯორჯიან ტაიმის“ №02(568)-ში გამოქვეყნებული სტატია, სახელწოდებით **„ტოლერანტობად გასაღებული შხამი „ეკუმენიზმისა“** ტრადიციული რელიგიების და რელიგიური უმცირესობების შეურაცხყოფის თვალსაზრისით ამ სტატიაში არა ერთი სტანდარტია დარღვეული: სტატიის ავტორის მიერ გაკეთებული შეურაცხმყოფელი განცხადებები, სიძულვილის ენა, ქსენოფობიის და შეუწყნარებლობის ქადაგება, დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით, სტერეოტიპიზაცია, უმცირესობების წარმოდგენა სტატიის ობიექტებად და არა სუბიექტებად.

მთელი სტატია ზემოაღნიშნული სულისკვეთებით არის განმსმჭვალული, გაჯერებულია დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი განცხადებებით. არამართლმადიდებლები ურჯულოებად



არიან მოხსენიებულნი, ხოლო მათთან ურთიერთობა სამარცხვინო და ლამის დანაშაულებრივ ქმედებად არის წარმოდგენილი, რჯულთშემწყნარებლობა მიუღებელ ცნებად განიხილება და ა.შ. სტატია საკმაოდ დიდია და საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ ამონარიდს მოვიტანთ:

„მეტიც, მიზანმიმართულ პროპაგანდას უწევენ იმ სიცრუეს, თითქოს წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი „ეკუმენისტი“ და რჯულთშემწყნარებელი იყო, მეჩეთში დადიოდა, იქ საეკლესიო კანონების საწინააღმდეგო ლოცვებს ესწრებოდა, მოწიწებით ისმენდა ყურანს, სადაც უარყოფილია წმინდა სამება, ხოლო ქრისტე ნახსენებია, როგორც წინასწარმეტყველი და არა როგორც განკაცებული ღმერთი – მესია. ამით ისინი ცდილობენ რელიგიურად გაუთვითცნობიერებელი საზოგადოების თვალში გამართლებულად წარმოაჩინონ უმაღლეს ხელისუფალთა „ყურბან ბაირამზე“ მეჩეთში მისვლა, იქ მოღებთან მუხლმორთხმით ჯდომა და „ბაირამობა“; პატრიარქის აღსაყდრების დღეს 25 დეკემბერს სამების ტაძარში წირვაზე დასწრების ნაცვლად კათოლიკურ მესაზე დასწრება და მთელი საქართველოსთვის კათოლიკური „შობის“ მილოცვა, ხოლო ქავთარაძის ქუჩაზე იეზუიტური თვალთმაქცობით აშენებულ უკანონო ტაძარზე და პაპისტების აგრესიულ პროზელიტიზმზე თვალის დახუჭვა. იუდეველ რაბინებთან ერთად „ხანუკის“ აღნიშვნა; ლესელიძის ქუჩაზე მდებარე მართლმადიდებლური ტაძრის კარების წიხლით შენგრევა; იელოველთა და ათასი სხვა სექტების მომრავლების ხელშეწყობა და მათი რეგისტრირება; უკანონო მეჩეთების სოკოებივით მომრავლებაზე ფარული თანხმობა და სხვა ბოროტსჯულიერება.“

ეს გახლავთ საავტორო სტატიის ფორმით გასული მასალა, რომლის ავტორია მართმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრი ლე-

ზეთში დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია, შეიძლება იმიტომ, რომ ნაქეიფრები არიან და პახმელიაზე გამოსვლა ვერ მოასწრეს“.

ეს შეურაცხმყოფელი გამონათქვამია, თანაც განზოგადებული და მთელი აფხაზი ხალხის მისამართით ნათქვამი. ავტორის ტონი დამცინავია და ჩანს ირონიული დამოკიდებულება აფხაზი ხალხის მიმართ.

2. გაზეთ „ჯორჯიან ტაიმსის“ (14-21 იანვარი, 2010; №1 (567)) სტატიაში „სომხებს ქართულის სწავლა მოუწევთ“, ნათქვამია: „მე არ მესმის, რა დაკარგა სომხეთმა ყარაბახსა და ჯავახეთში. მე მათ ვურჩევ, ჩამოყალიბდნენ ფლორიდაზე, კალიფორნიაზე, კრასნოდარის მხარეზე, მარსელზე, სადაც ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სომხებს გამბედაობა არ ჰყოფნით, ამერიკას მოსთხოვონ მიწები, ან თუნდაც საფრანგეთსა და რუსეთს“, – აცხადებს სტატიაში რესპონდენტი იოსებ ცინცაძე.

ეს შეურაცხმყოფელი გამონათქვამია, ტონი დამცინავი და ჩანს სომხებისადმი ირონიული დამოკიდებულება, ხოლო მედია საშუალება ამის უკრიტიკო ტირაჟირებას ეწევა.



უმცირესობის, როგორც ერთიანი მონოლითური ჯგუფის წარმოდგენა, განზოგადება

1. 21-22 იანვრის გაზეთ „ალიას“ №6 (2443)-ში გამოქვეყნებული სტატიის სათაურია „გიგი უგულავას ქურთი მეეზოვეები უჩივიან?“. სტატია აშუქებს მეეზოვეების მიერ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის ბრალდებით მერიის წინააღმდეგ სასამართლოში საჩივრის შეტანის ფაქტს. ასეთ სტატიაში დასაშვებია



თავი III

ეთნიკური უმცირესობების
საკითხების გაშუქება ქართულ
მედიაში – ეროვნული
უმცირესობების ხედვა
(კვლევის შედეგები)

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევისთვის გამოყენებულ იქნა თვისობრივი კვლევის ფოკუს-ჯგუფის მეთოდი.

ჩატარდა სამი ფოკუს-ჯგუფი – თბილისში, ახალციხესა და მარნეულში.

თითოეული ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა 8-10 რესპოდენტი.

ახალციხესა და მარნეულში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებს ესწრებოდნენ ადგილობრივი მედია საშუალებების აქტიური მაცურებლები\მკითხველები.

ფოკუს-ჯგუფის მუშაობისათვის სამივე ქალაქში, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეირჩნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. მათ შორის:

ახალციხეში – ეთნიკურად სომეხი რესპოდენტები;

მარნეულში – ეთნიკურად აზერბაიჯანელი რესპოდენტები;

თბილისში – 1 ეთნიკურად რუსი, 1 ეთნიკურად აზერბაიჯანელი, 2 ეთნიკურად სომეხი, 1 ეთნიკურად უკრაინელი, 2 ეთნიკურად

- რესპოდენტები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ მედია სათანადოდ არ იკვლევს ამა თუ იმ ფაქტის ან მოვლენის წინასწარ საფუძვლებს, არ ინტერსდება იმით, თუ რამ განაპირობა ესა თუ ის ნეგატიური ქმედება და არის თუ არა ეს კავშირში ამბის მონაწილეთა ეთნიკურ კუთვნილებასთან. გამოიკვეთა მოსაზრება, რომ მედიაში ხშირად ჩნდება მასალები, რომლებიც წინასწარ აკვიატებულ შეხედულებას უფრო ეყრდნობა, ვიდრე მოვლენათა ანალიზს. არის შემთხვევები, როდესაც მედია ცალკეულ მოვლენებს (მეტწილად ყოფით კრიმინალს) ან ამბებს განაზოგადებს მთელ ეთნიკურ ჯგუფზე, რაც ნეგატიური სტერეოტიპიზაციის სახეს იღებს.

რესპოდენტები აღნიშნავენ მათი აზრით დომინანტ ტენდენციას: ხშირად მათთვის შეურაცხმყოფელი შეფასებები და გამონათქვამები მომდინარეობს არა ჟურნალისტების მხრიდან, არამედ სხვა და სხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტივისტების ციტირებებიდან ისე, რომ რედაქციები არ აკეთებენ სათანადო კომენტირებას. სახეზეა ეთნიკურ უმცირესობათა შეურაცხმყოფელი გამონათქვამების ტირაჟირება.

- რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ რუსეთთან გამწვავებული პოლიტიკური ურთიერთობის მიუხედავად, მედიაში რუსების, როგორც ეთნიკური ჯგუფის თემა არ გამხდარა რაიმე სახის დისკრიმინაციის ობიექტი და აქაც იგივე პრობლემები იჩენენ თავს, რომლებიც სხვა უმცირესობებთან მიმართებაში არსებობს. ეს კარგად ასახავს მოსახლეობის განწყობასაც ამ ეთნიკური ჯგუფის მიმართ. ზოგადად, რესპოდენტთა აზრით, ისევე, როგორც რუსების, აფხაზებისა და ოსების შემთხვევაშიც, ნეგატიური კონტექსტი მიმართულია პოლიტიკური პროცესების მიმართ.
- რეგულარულად არ შუქდება ეთნიკური უმცირესობების ყოველდღიური კულტურული ცხოვრება, ისტორიული მასალები, სოციალური პრობლემები, დღესასწაულები და სხვა.

თი აზრით, ადრე სტერეოტიპულ მიდგომებს საჯარო მოხელეები, პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტივისტები ამკვიდრებდნენ. მაგალითად გაიხსენეს ფრაზები: „საქართველო სომხების გარეშე“; „საქართველო მხოლოდ ქართველებისთვის“. ამჯერად რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ მოცემულ მომენტში საჯარო მოხელეები ასეთ შეცდომებს ნაკლებად უშვებენ.

თბილისის ჯგუფში ხაზი გაუსვეს სიტყვათა შეთანხმებებს: „აფხაზი სეპარატისტი“ და „ოსი კრიმინალის“ მედიაში ხმარების პრობლემას. მათი შეფასებით, სეპარატიზმი პოლიტიკური ჯგუფის მახასიათებელია და არა ეთნიკურის, ხოლო კრიმინალს ეთნიკურობა არ აქვს.

ქვემო ქართლის ჯგუფში კი აღნიშნეს, რომ მათ გაღიზიანებას იწვევს აზერბაიჯანელების “თათრებად” მოხსენიება.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა რეკომენდაციები:

ფოკუს-ჯგუფების მსვლელობისას რესპოდენტებმა გამოთქვეს შემდეგი რეკომენდაციები:

1. მედიამ ნებისმიერი საკითხი უნდა გააშუქოს უფრო ღრმად და დასაბუთებულად. სასურველია, ჟურნალისტური ნაშრომი მეტად ეყრდნობოდეს ფაქტებს, კონკრეტული ისტორიის სანყისებს, მის განვითარებას და ნაკლებად კომენტარებს, რომლებიც სიტუაციაში ჩაღრმავების გარეშე არა თუ ამდიდრებს, არამედ კიდევ უფრო გაუგებარს ხდის სიუჟეტს.
2. ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების დროს, მედიამ წინასწარ უნდა გაანალიზოს ამა თუ იმ ფაქტის უტყუარობა, გამომზეურების აუცილებლობა და საზოგადოებრივი სიკეთე და განსაზღვროს, თუ რა შედეგს გამოიღებს ეს ეგრეთ წოდებულ „რთულ რეგიონებში“.



თავი IV

მედიის თვითრეგულირება
და ეთნიკური და
რელიგიური უმცირესობების
საკითხების გაშუქება

თანამედროვე სამყაროში მედია არის ის ძირითადი მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს, უზრუნველყოფს და აღწერს ამა თუ იმ სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხს და საზოგადოების ღიაობას.

ერთის მხრივ, მედიის დამოუკიდებლობა და მეორეს მხრივ, იმავე მედიის პასუხისმგებლობა მოქალაქისა და საზოგადოების წინაშე, არის უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელსაც ცივილიზებულ მსოფლიო სახელმწიფოების, საზოგადოებებისა და ინდივიდების წინაშე აყენებს. ამ ამოცანის შესრულება, დიდწილად ჟურნალისტური კორპუსის საქმიანობაზე გადის. სწორედ ამიტომ, თანამედროვე ჟურნალიზმმა ჩამოაყალიბა და სამოქმედო წესად დაისახა საკუთარი პროფესიული სტანდარტები და ეთიკური ნორმები, რომლებიც დეკლარირებულია შესაბამის კოდექსებსა და სხვადასხვა შიდა რეგულაციებში. მეტიც, თითქმის ყველა ავტორიტეტულ მედია ორგანიზაციას პროფესიული სტანდარტების საკუთარი კოდექსი აქვს, რომლის დაცვაც სავალდებულოა ამ ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის. ამ კოდექსში ისეთი პრინციპების დაცვასთან ერთად, როგორებიცაა სიზუსტე, მიუკერძოებლობა, სამართლიანობა, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რეგულაციებს, რომლებიც ჟურნალისტისგან მოითხოვს, არ დაუშვას უმცირესობების დისკრიმინაცია, შეურაცხყოფა, მათდამი ქსენოფობიის ან შეუწყნარებლობის გამოვლენა.

საქართველოში იყო რამოდენიმე მცდელობა, თუმცა, ჯერაც არ არსებობს პროფესიული სტანდარტების ერთიანი დოკუმენტი, რომელსაც ყველა სახის მედია – ბეჭდურიც და ელექტრონულიც, სახელმძღვანელო სტანდარტად მიიჩნევდა. ასევე არ არსებობს მედია დავების განხილვის ტრადიცია, რომელიც ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებში ათწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა.

სამაუწყებლო მედიისათვის შემუშავებულია „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, რომლითაც, სხვა საკითხებს შორის, რეგულირდება უმცირესობების გაშუქების საკითხიც.

უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსის წინამდებარე ნორმები, თავისი არსით, ცდება ერთი კონკრეტული ნორმატიული აქტის ჩარჩოს და ზოგადად მედიის საქმიანობის სტანდარტს აყალიბებს.

მიუხედავად იმისა, რომ კოდექსში ეს ნორმები სამართლებრივი ფორმულირებით არის წარმოდგენილი, მათში ასახულია დემოკრატიული მედიის მსოფლიო გამოცდილება და სასურველია, რომ ყველა, არამარტო ელექტრონული მედიის ჟურნალისტმა, ისინი საკუთარ პროფესიულ და სამოქალაქო პრინციპად მიიღოს. სწორედ ამიტომ გათავაზობთ ამონარიდს მაუწყებელთა კოდექსიდან.

კოდექსის IX თავში განსაზღვრულია პრინციპი და წესები, რომელთა დაცვაც ევალება მაუწყებელს, და ასევე, ის რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება სასურველია.

თავი IX

მრავალფეროვნება, თანასწორობა და შეწყნარება

მუხლი 31. მრავალფეროვნებისა, თანასწორობისა და შეწყნარებლობის პრინციპი

მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტო-

უნდა აღნიშნოს პირის ეთნიკური წარმოშობა და რელიგიური მრწამსი.

3. მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს რელიგიური, ეთნიკური, ან სხვა ნიშნის მიხედვით რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათ შორის გარკვეული ლექსიკის ან გამოსახულების გამოყენება. ეს მოთხოვნა არ უკრძალავს მაუწყებელს, ხელი შეუწყოს ინფორმირებულ და არაცალმხრივ დისკუსიას შეუწყნარებლობის ან დისკრიმინაციის საკითხებზე, ან გადასცეს ფაქტობრივი მასალა ან საზოგადოებაში რეალურად არსებული მოსაზრება.
4. თუ წყარო პირდაპირ ეთერში ან ახალ ამბებში უსაფუძვლოდ ასახელებს ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიურ მრწამსს, სექსუალურ ორიენტაციას, ოჯახურ ან ქონებრივ მდგომარეობას, სოციალურ კუთვნილებას, ან ნებისმიერ სხვა ნიშანს, როგორც პრობლემის გამომწვევ მიზეზს ან იყენებს შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას რომელიმე ჯგუფის მიმართ, წამყვანი არ უნდა აყვეს ასეთ დიალოგს და შეეცადოს შეურაცხმყოფელი განცხადების ავტორს დაუსვას შეკითხვა გამოთქმული მოსაზრების დასაბუთების მიზნით.
5. მაუწყებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს სახელების მართლწერას და სწორად გამოთქმას.
6. მაუწყებელმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უნდა აღწეროს არაშეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვას, ფიზიკურ და მორალურ კეთილდღეობას და თანხმობის მიღებას.

დისკრიმინაციის დაუმეგობლობის პრინციპს მოიცავს ასევე დოკუმენტები „მედიის პროფესიული სტანდარტი“ და „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“, თუმცა ამ დოკუმენტებში განერილი პრინციპების დაცვის ვალდებულება მხოლოდ იმ ჟურნალისტებს აქვთ, რომლებმაც მათ ხელი მოაწერეს.

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების გაშუქების პრინციპები საკმაოდ ვრცლად არის განერილი საზოგადოებრივი მაუნ-

ყებლის ქცევის კოდექსში. აქ ჩამოყალიბებული მოთხოვნები, საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელობისათვის სავალდებულოა, თუმცა მათი, როგორც თანამედროვე ჟურნალიზმის რეკომენდაციად განხილვა სხვა მედია ორგანიზაციებისთვისაც სასურველი იქნება. ამიტომ გთავაზობთ საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის მე-15 მუხლს, რომელიც მრავალფეროვნების გაშუქების სტანდარტებისადმია მიძღვნილი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი

ძირითადი პოსტულატები:

15. მრავალფეროვნების ასახვა

15.1 ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები

ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებზე გადაცემებისა და რეპორტაჟების მომზადებისას:

- დაუშვებელია უმცირესობათა დისკრიმინაცია რასის, სქესის, რელიგიური აღმსარებლობის, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური წარმომავლობის, კულტურული და სოციალური კუთვნილების, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკისა ან ნებისმიერი სხვა ნიშნის მიხედვით;
- არ გამოიყენოთ ისეთი სიტყვები, გამოთქმები ან კადრები, რომლებმაც ინდივიდის ან საზოგადოების ნაწილის რომელიმე ზემოჩამოთვლილი ნიშნით დისკრიმინაცია შეიძლება გამოიწვიოს;
- პირის, განსაკუთრებით ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილება აღნიშნეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას სიუჟეტისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს;



- არ აღწეროთ ისეთი ფიზიკური მონაცემები, რომლებმაც დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება სრულიად არასწორად ეთნიკურ წარმომავლობას დაუკავშიროს;
- არ გაავლოთ უმცირესობებსა და სოციალურ პრობლემებს შორის დაუსაბუთებელი პარალელები;
- განასხვავეთ უმცირესობის ინდივიდუალური წარმომადგენლისა და ზოგადად მთელი უმცირესობის საქმიანობა. ნუ გააიგივებთ ინდივიდს მთელ უმცირესობასთან;

უმცირესობების შესახებ გადაცემის მომზადებისას:

- ინტერვიუ აიღეთ უმცირესობის წარმომადგენლებისგან და ასახეთ მათი მოსაზრებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი სიუჟეტის „ობიექტები“ იქნებიან და არა „სუბიექტები“. დაუშვებელია სიუჟეტში რომელიმე ერთი ჯგუფის კრიტიკა, თუ ამ ჯგუფის წევრებს საკუთარი შეხედულებების გამოთქმის და პასუხის გაცემის საშუალება არ ეძლევათ;
- გადაცემაში, სხვა სტუმრებს შორის, შესაბამისი კვალიფიციკაციის მქონე უმცირესობის წარმომადგენელიც მოიწვიეთ;
- რეაგირება მოახდინეთ უმცირესობების შესახებ გამოთქმულ ნეგატიურ შეხედულებებზე მაშინაც კი, როდესაც მათი ავტორები ადმინისტრაციული, პოლიტიკური ან კულტურული ელიტის წარმომადგენლები არიან;

15.4 რელიგიური პროგრამები

მაუწყებელმა პატივი უნდა სცეს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას, აღიაროს ნებისმიერი რელიგია თუ კონფესია, ქადაგებდეს მას და ასრულებდეს რელიგიურ რიტუალებს.

რელიგიურ თემებზე გადაცემებისა თუ სიუჟეტების მომზადებისას უნდა იცოდეთ, რამ შეიძლება შეურაცხყოფს აუდიტორია. გადაცემის ავტორებმა და წამყვანებმა, ასევე, ჟურნალისტებმა უნდა გაითვალისწინონ საქართველოში არსებული რელიგიური ჯგუფების შეხედულებანი და თავისებურებანი. ის, რაც ერთი რელიგიისა თუ კონფესიის წარმომადგენლისთვისაა მისაღები, შეიძლება მიუღებელი იყოს მეორისათვის.



თავი V

ტირმინთა განმარტება*

ანტისემიტიზმი – ებრაელთა დისკრიმინაცია მათი რელიგიური რწმენის და ადათ-წესების მიმართ არსებული სტერეოტიპების ან ეთნიკურ საფუძველზე.

განტევების ვაცის ძიება – ხალხის მთელი კატეგორიის ან ამ ჯგუფის წევრებად მიჩნეული პირებისათვის სოციალური, ეკონომიკური და სხვა პრობლემების გამო ბრალის დადება, როდესაც, სინამდვილეში, ეს პრობლემები მრავალი და მეტად რთული მიზეზებით არის გამოწვეული.

დისკრიმინაცია – მთელ რიგ სფეროებში სხვა კულტურის, ეთნიკური საზოგადოების და სოციალური ჯგუფების წარმომადგენელთათვის სამართლიანად ან თანასწორად მოპყრობის უარყოფა. ეს შეეხება დასაქმებას, საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფას, პოლიტიკურ უფლებებს და საზოგადოებრივი მომსახურების ადგილებს.

დოკმატიზმი – საკუთარი შეხედულებების, ცხოვრების წესისა და რწმენის ბრმა და უსაფუძვლო მიმდევრობა და ჯიუტი წინააღმდეგობის განწევა განსხვავებული შეხედულებებისა და მათი მიმდევრებისათვის.

* გამოყენებულია „მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ „მრავალფეროვნების გაშუქების სახელმძღვანელო“

სტერეოტიპი – ფართოდ განზოგადებული შეხედულება მთელი ჯგუფის შესახებ, რომელიც გამორიცხავს მათ შორის ინდივიდუალური განსხვავებების არსებობის შესაძლებლობას.

ტოლერანტულობა – კულტურების, სოციალური ჯგუფების ან ეთნიკური საზოგადოებების წეს-ჩვეულებების და რწმენის აღიარება, მათთან სალი აზრისა და მოთმინებით მიდგომა; შემწყნარებლობა.

ქსენოფობია – უცხოელების, სხვა კულტურისა თუ ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების მიმართ ღრმა ანტიპათია, შიში ან ზიზღი.

წინასწარგანწყობა – ხალხის მთელი კატეგორიის მიმართ ირაციონალური ეჭვი ან ზიზღი. სხვა ხალხის უარყოფითი შეფასება მხოლოდ ან ძირითადად მათი ეთნიკური, რელიგიური ან სოციალური ჯგუფების წევრობის გამო.



EURASIA
PARTNERSHIP
FOUNDATION



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



MDF
MIRNII EKSPERTIZADAN YITIRIB